

ახალი თაობა



სუთშაბათი, 3 იანვარი, 2013

№1 (6002)

ფასი: 30 თეთრი

ზურაბ ზვიადაურის სახლს 13 ტყვია ესროლეს ხევისურული გენდეტა ახმეტაში



გვ. 2

მარინა კაჭაშვილი: „იუსტიციის სახლების იღაა მიხეილ სააკაშვილმა და ბიძა ქავთარაძემ მოგპარეს!“



გვ. 3

ლალი აფხიაური: „ოქრუაშვილის მოსამართლე სააკაშვილის დაკვეთას ასრულებს“



გვ. 5



რამაზ საყვარელიძე: „ვინც ხელისუფლებაშია, ის აღვილად არღვევს კანონს“

გვ. 4



გვ. 6

„პატიმრებს ისევ ანაგებენ!“

რა პრეტენზიები აქვს ანტიკორუფციული პალატის თავმჯდომარეს სოზარ სუბართან

მაგთიკომი MAGTICOM

ვილიჯვარ შიშა-ახალ ნურს!

სურუქერი

1 იანვრის დაბეჭდული ბავშვების მოხუცებს!

მაგთიკომი MAGTISAT **მაგთი ფიქსი MAGTIFIX**

მაგთიკომი საჩუქრად გადმოგცემთ ტელემაგნიფონების - მაგთისაბის - „ძირითად I“ პაკეტს და სახლის ფიქსირებულ ტელეფონს - მაგთი ფიქსს.

2013 წლის 1 იანვარს დაბადებული ახალშობილების მშობლებს გთხოვთ, საჩუქრის მისაღებად 8 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით მოზრძანდეთ მაგთიკომის წებისმიერ ოფისში და თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი და ბავშვის დაბადების მოწმობები.

© 11 00 11



7 თბილისიდან ქუთაისამდე ანუ რიკოტოზა არაჟინი გაყვავს უფასოდ

9 771987 938006



ზურაბ ზვიადურის სახლს 13 ტყვია ესროლეს

ხევისურული გენდეტა ახმეტაში

შორენა მარსაგიშვილი

ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადური ახალ შარში გაეხვია. ახალი წლის დამეს მის სახლს 13 ტყვია ესროლეს. საბედნიეროდ არავინ დაზარალებულია. ახმეტაში კი ამ ინციდენტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მომხდართან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გავრცელდა.



როგორც საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტს“ ადგილობრივებმა აცნობეს, თავდასხმა წუხელ შუალდამისას მოხდა. იხინი თავდასხმის ორ ვერსიაზე საუბრობენ: თავად გამწვანებულმა ხევისურებმა ჩაიდინეს ეს, რომელთაც ზვიადური წინასაარჩევნოდ კარგ თანამდებობებს პირდებოდა და მეორე, ახალ ხელისუფლებას სურს, ეს თავდასხმა ძველ ხელისუფლებას გადააბრალოს.

ამ ვერსიას არ ეთანხმებიან ზურაბ ზვიადურის ახლობლები. მათი მტკიცებით, ამ ყველაფრის უკან სწორედ ძველი ხელისუფლება დგას. ზვიადურსა და ნაციონალურ შორის მართლაც სერიოზული უთანხმოება არსებობს. თუმცა ეს არ არის საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ ახალი წლის ინციდენტი მათ დააბრალო. თანაც დამნაშავე უკვე დაკავებულია. იმედია სამართალდამცავები მალე დაადგენენ სიმართლეს.

არც ის არის გამორიცხებული, რომ ეს სროლა ზურაბ ზვიადურის საერთოდ არ უკავშირდებოდეს. საქმე იმაშია, რომ ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე ზვიადურის მძას შელაპარაკება მოუხდა გიორგი ქისტაურთან. მოგვიანებით სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გა-

ტარს სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. „ქართული ოცნების“ აქციაზე მიმავალს თავში ქვა მოხვდა. მოგვიანებით მას ავტომატურად ჩამოართვეს. ეს მანქანა საჯარიმო სადგომზე გადაიყვანეს. სადაც მანქანა გაუფუჭეს.

მაჟორიტარობაში ზურაბ ზვიადური ნაციონალ პეტრე ცისკარიშვილს შეეცინა. ამ უკანასკნელს თითქმის მოგებული ჰქონდა არჩევნები. ამ საქმეში გარდატეხა ლაფანყურის სპეცოპერაციამ შეიტანა.

საეჭო სპეცოპერაციამ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. პანკისელები და არა მარტო ისინი მიიჩნევენ, რომ ლაფანყურში ძველმა ხელისუფლებამ სპექტაკლი დადგა. პანკისელებმა მაშინ დაიფიცეს, რომ ხმას ზურაბ ზვიადურს მისცემდნენ. მართლაც გამარჯვებული პანკისელების ხმებმა გადაწყვიტეს.

საქართველოს პატრიარქი მოსკოვში 20 იანვარს მიიმგზავრება



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მოსკოვში 20 იანვარს მიემგზავრება. როგორც საპატრიარქოში, „ფაზისის აკადემიის“ წარმომადგენლებთან შეხვედრისას ილია II განაცხადა, 21 იანვარს გაიმართება დავილდოების ცერემონია, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მართლმადიდებელი ქრისტიანების ერთობის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის ჯილდო გადაეცემა.

პატრიარქის თქმით, საზეიმო ღონისძიებას 1500-მდე სტუმარი დაესწრება, მათ შორის იქნებიან რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები.

ზვიადურის სახლის მიმართულებით სროლის ფაქტზე გამოძიება 239-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს

შსს პარლამენტარ ზურაბ ზვიადურის სახლის მიმართულებით ავტომატური იარაღით სროლაში ეჭვმიტანილის დაკავებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

სამინისტროს ინფორმაციით, 1-ელ იანვარს, კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ახმეტაში მცხოვრები, 1986 წელს დაბადებული გიორგი ე. დააკავეს.

დაკავებულს, ამავე ქალაქში მცხოვრები პარლამენტის დეპუტატის, ზურაბ ზვიადურის მძასთან, ზვიად ზვიადურთან ურთიერთშელაპარაკება მოუხდა, მან, დაშინების მიზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, რამდენჯერმე გაისროლა ზვიადურის საცხოვრებელი სახლის მიმართულებით, რის შედეგადაც სახლი დაზიანდა.

ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო ვაზნებით.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად (ხულიგნობა), 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება) დაიწყო. ჩადენილი დანაშაული 4-დან 7-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ინტერპრესიუსი

საქართველოს პრეზიდენტი ახალ წელს ავღანეთში მყოფ ჯარისკაცებთან ერთად შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტი ახალ, 2013 წელს ავღანეთში, შუკვანის ბაზაზე მყოფ ჯარისკაცებთან ერთად შეხვდა. საუბრისას, ქვეყნის პირველმა პირმა ყურადღება სამშვიდობო მისიაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ მათ თავდადებაზე, სიმტკიცეზე და პროფესიონალიზმზე დგას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა. მისი თქმით, ეს 2008 წლის ომის დროსაც კარგად გამოჩნდა. მიხეილ სააკაშვილმა ახალი წლის დადგომა რაციის საშუალებით იმ ჯარისკაცებსაც მიულოცა, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას შეუკანის ბაზის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე ასრულებდნენ.

ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა ქართველ სამხედროებს ახალი წელი 2-ჯერ - ავღანეთისა და საქართველოს დროით მიულოცა და მათ სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

მედიანოუსი

პრეზიდენტ-მინისტრის საახალწლო მილოცვა

საქართველოს პრეზიდენტ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა, საზოგადოებას 2013 წელი მიულოცა

ჩემო საყვარელო ხალხო, ახალ წელს ყოველთვის განსაკუთრებულად ვხვდებით: იმედით შევცურებთ, ოცნების ასრულებას ვთხოვთ და, რაც მთავარია, საზეიმო დახვედრას ვუწყოფით. ეს სადღესასწაულო დამე ყველას გავერთიანებს და სიყვარულით გავცხვებს. სანამ ახალ, 2013 წელს ჩავუთქვამდეთ სურვილებს, მანამდე, ვფიქრობ, 2012 წელი უნდა გავაძვიროთ. წელი, რომელიც სავსე იყო ემოციებით, მოვლენებით, ვნებათაღვლეებით. წელი, რომელიც საქართველოს ისტორიაში თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს. ყველაზე მთავარი კი გახლდათ ის, რომ ამ წელმა გაგვერთიანა, ერთ მუშტად შეგვკრა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ფინი გამოგვამყვანებინა.

უნეწყვიტო მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ერი შეიძლება დიდხანს ითმენდეს უსამართლობას, შიშს, ძალადობას, მაგრამ დგება დრო და ყველაფერს თავის საკადრის პასუხს აძლევს.

უახლესი საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა არჩევნების გზით ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა. ყველას კარგად გვახსოვს ეს დღე - 1 ოქტომბერი. დღე, როდესაც საარჩევნო უზნებთან ლამის თევით შევქელით ჩვენი ხმების დაცვა და ამით უარი ვუთხარით სიცრუსსა და ძალადობის სისტემას.

დღეს მე მინდა კიდევ ერთხელ მაძლობა გითხროთ ყველას, ვინც არა მარტო გვენდო ჩვენ, არამედ ირწმუნა საკუთარი თავის, ირწმუნა საკუთარი ქვეყნის მომავლის, ირწმუნა საკუთარი ოცნების და აქამდე არნახული აქტიურობით უზრუნველყო ჩვენი საერთო გამარჯვება.

საქართველომ გაიმარჯვა! გამარჯვების შემდეგ კი ყოველი ჩვენთაგანის ვალია, ღირსეულად მოვექცეთ მათ, ვინც ნებით თუ უნებლიეთ ემსახურებოდა სიღრმისა და ძალადობას. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათაც შეძლონ საზოგადოებაში ღირსეული ადგილის მოპოვება. საქართველო ჩვენი სამშობლოა და ჩვენი მიზანი ქვეყნის გაძლიერება და გაძლიერება!

ინყება ახალი, უფრო რთული, მაგრამ ამავე დროს ძალიან საინტერესო ეტაპი ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, დემოკრატიისა და აღმშენებლობის გზით განვითარებისათვის.

ეს გზა არ იქნება ადვილად სავალი, მთავარია, ჩვენ არ გადავუხვევთ იმ გზიდან, რასაც ჰქვია



Bidzina Ivanishvili official

ევროპული ტიპის ეროვნული, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. დიახ, საქართველო აუცილებლად გახდება ასეთი სახელმწიფო, გახდება ევროკავშირისა და ნატოს წევრი და მომავალი წელიც იქნება ამ მიზნებთან მნიშვნელოვნად დაახლოების წელი.

ორ თვეზე ცოტა მეტია გასული, რაც მუშაობა დაიწყო ახალმა პარლამენტმა და ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა. დამეთანხმებით, ეს არც თუ ისე დიდი დროა, მაგრამ ქვეყანაში დაიწყო ყველაზე მთავარი - კანონის უზენაესობის დამკვიდრება, პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და სამართლის შერჩევითად გამოყენების სანაცვლოდ.

საქართველოში სამართლიანობის აღდგენის სრულიად გამჭირვალე პროცესი მიმდინარეობს! ამ მოკლე დროში ჩვენმა ხელისუფლებამ საზოგადოებას აჩვენა მთავარი პრიორიტეტები სოციალურად სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ. ჩვენ ისე დავგეგმეთ 2013 წლის ბიუჯეტი, რომ იგი მთლიანად ხალხზე ორიენტირებული გახდეს.

საქართველო უნდა გახდეს საინვესტიციოდ საინტერესო ქვეყანა, რაც მისი ეკონომიკურად გაძლიერების საფუძველს შექმნის. სამოქალაქო სექტორის გაძლიერება კი გარანტი უნდა გახდეს

იმისა, რომ საქართველო არასოდეს აღარ დაუბრუნდება ძალადობისა და შიშის ეპოქას.

დიახ, ჩვენ ყველამ ერთად, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ უნდა შევძლოთ კონსტიტუციული კრიტიკისა და თანამშრომლობის ფორმატში ისეთი ქვეყნის ჩამოყალიბება, რომელიც ღირსეულად ადგის დიქტოს თანამედროვე, საერთაშორისო თანამეგობრობაში.

ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ თითოეული ჩვენგანის და მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობაზე. ერთად დგომაში, თანამშრომლობით, მიმტყველებლობით უნდა ავაშენოთ ჩვენი შვილების საამაყო ქვეყანა.

მინდა ყველას მაძლობა გადაგიხადოთ თანადგომისთვის, ბრძოლისთვის და იმ გამარჯვებისთვის, რომელიც ერთად მოვიპოვეთ 2012 წელს! წინ კი 2013 წელი გველის! ოცნებების ასრულების წელი!

ამ რწმენით გილოცავთ 2013 წელს! ვულოცავთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვულოცავთ ჩვენ საამაყო ჯარისკაცებს, რომლებიც სამშობლოსგან მონყვეტილები საქართველოს სახელმწიფოს იცავენ!

ვულოცავთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს, და მჯერა, რომ მათ მოვებნით ერთმანეთის გულებისკენ მიმავალ გზებს, ალვადგენთ ურთიერთობებს და საერთო მომავალზე ერთად ვიზრუნებთ.

ვულოცავთ მთელ მსოფლიოში გაფანტულ ჩვენს ემიგრანტებს და ვუსურვებთ სამშობლოში დაბრუნებას.

ვულოცავთ ყველას, მიუხედავად მათი რელიგიური მრწამსისა და ეთნიკური კუთვნილებისა! ვულოცავთ ყველას, ვინც ამ წლების განმავლობაში მხარს უჭერდა ქართულ სახელმწიფოს, ჩვენს უცხოელ მეგობრებს!

ახალი წელი სიახლის, იმედისა და სიხარულის მომტანია. მთავარია გვახსოვდეს, რომ ერთად დგომაში და ერთმანეთის მხარდაჭერით ჩვენ შევძლებთ ყველაფერს!

ღმობლით შევეგებოთ ახალ 2013 წელს და გვექონდეს რწმენა იმისა, რომ ახალი წელი ჩვენი ოცნებების ასრულებას დაუდებს დასაბამს.

გილოცავთ და მჯერა, რომ 2013 წელი საქართველოსთვის მშვიდობისა და წინსვლის წელი იქნება!

გილოცავთ!

მედიანოუსი

ახალი თარიღი

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი
 მთავარი რედაქტორი - სოხო გოგინაშვილი
 რედაქტორი - ლალი ასლანიშვილი
 რედაქტორის მოადგილე - შორენა მარსაგიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
 ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
 ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
 რედაქციაში შემოსული მასალები არ რედაქტირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიები გამოქვეყნებული მასალების სიწესტეურე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი, სავინანხო სამსახური - კლარა ბალაშაძე

სარეკლამო სამსახური - 2-94-02-55
 გავრცელების სამსახური - მერაბ ლევინაშვილი
 დირექტორი - ზურაბ ბერიძე

დაკაბდობა - ინგა დვალისძე, ნონა კანდელაკი, მზია ქიქაშვილი



საქპო-ს თანამშრომლებს ხელფასები გაუზარდათ

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებსა და თანამშრომლებს ხელფასები გაუზარდათ. შესაბამისი განკარგულებაში ცვლილებები ცესპო-მ 31 დეკემბერის სხდომაზე შეიტანა.



„საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე“ 2012 წლის 3 თებერვლის განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ცესპოს თავმჯდომარის ხელფასი 240 ლარით იზრდება და 5040 ლარი ხდება, თავმჯდომარის მოადგილის ხელფასი 210 ლარით გაიზრდება და 4240 ლარს შეადგენს, კომისიის მდივანის ხელფასი, 4000-ის ნაცვლად, 4200 ლარი იქნება. რაც შეეხება კომისიის წევრებს, მათ ხელფასი 170 ლარით, 3570 ლარამდე გაიზრდება.

ხელფასები იზრდება ცესპო-ს თანამშრომლებსაც. დეპარტამენტების ხელმძღვანელების ხელფასები 130 ლარით გაიზრდება და 2730 ლარი გახდება, განყოფილებების ხელმძღვანელები კი, 2000 ნაცვლად, 2100 ლარს აიღებენ.

ყველაზე დაბალ ხელფასს ცესპო-ში 1 კატეგორიის სპეციალისტები აიღებენ. მათ ხელფასი 50 ლარით 1050-მდე გაიზრდება. დანარჩენი კატეგორიის სპეციალისტებს კი 70-75 ლარით მოემატება.

ცესპოში სულ 72 თანამშრომელი მუშაობს, მათ შორის 13 ცესპოს წევრია. ცვლილებების მიხედვით, საერთო ჯამში მათზე ხელფასის სახით თვეში 146 875 ლარი გაიცემა. ცვლილებები ძალაში გასვლის შემდეგ ხელფასების გაზრდას შეეხება.

ხელფასები საარჩევნო ადმინისტრაციაში „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულებაში 2012 წლის 3 თებერვალს შეტანილი ცვლილებების შემდეგაც გაიზარდა. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, თებერვალში ხელფასები ცესპოს წევრებსა და თანამშრომლებს 350- 600 ლარის ფარგლებში მოემატება.

ინტერპრესნიუსი

საქართველო სუამ-ის თავმჯდომარე ოფისილურად გახდა

2013 წლის 1-ელი იანვრიდან საქართველო სუამ-ის თავმჯდომარე ქვეყანა ოფისილურად გახდა. მანამდე კი, გასული წლის 7 დეკემბერს, დუბლინში, ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მე-19 სხდომის ფარგლებში, გაიმართა დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია – სუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მე-20 სხდომა. სხდომაზე მხარეებმა განიხილეს სუამ-ის ფარგლებში მიმდინარე აქტუალური საკითხები, კერძოდ, პოლიტიკური ურთიერთქმედების, უწყებათაშორისი და ორგანიზაციის პარტნიორებთან თანამშრომლობის მიმართულებით.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე, საქართველომ 2013 წელს სუამ-ის თავმჯდომარეობა ჩაიბარა და ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოებს თავმჯდომარეობის პროგრამა წარუდგინა.

საქართველომ სუამ-ის თავმჯდომარეობა აზერბაიჯანისგან გადაიბარა, რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციას 2012 წლის 1-ელი იანვრიდან თავმჯდომარეობდა.

ინტერპრესნიუსი

სოფელ კლავთი სოფ-ქაბარი მოკლას

მარნეულის რაიონის სოფელ ალგეთში ცოლ-ქმარი რამიზ და ჯავახიზ დოვრუშოვები ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტს იუწყობენ, რამიზ დოვრუშოვეს გულმკერდის არეში ოთხი ტყვია აქვს მიხვედრილი. ჯავახიზ დოვრუშოვეს კი სამი ტყვია თავში აქვს ნასროლი. დაჭრილია ასევე მათი ვაჟი ვალი დოვრუშოვი.

როგორც მეზობლები აცხადებენ, რამიზ დოვრუშოვი მოკლულია ქუჩაში, მისი მეუღლე კი სახლში მოკლეს. რაც შეეხება ვაჟს, ის ეზოში, საქონლის სადგომთან იმყოფებოდა და თავდამსხმელმა სადგომში ხელყუმბარა შეაგდო. ვალი დოვრუშოვი ხელყუმბარის ნამსხვრევებით გულმკერდის არეში დაიჭრა. მას გადაუდებელი ოპერაცია უკვე ჩაუტარდა და ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

დოვრუშოვების მეზობლების განცხადებით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი მათივე მეზობელია, თუმცა, ისინი დამნაშავეს ვინაობას და არ ასახელებენ. ასევე, მეზობლებს უჭირთ დანაშაულის მოტივზე საუბარი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. სამართალდამცველები დანაშაულში ეჭვმიტანილის ადგილსამყოფელის დადგენაზე მუშაობენ.

ინტერპრესნიუსი

მარინა კაჟაშვილი: „იუსტიციის სახლების იდეა მიხეილ სააკაშვილსა და ბია ქავთარაძეს მოეპარა!“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხშირად ტრიაბახობს ხოლმე იუსტიციის სახლებით. ამ სახლების დასაფინანსებლად წარამარა დაჰყავთ ხალხი. გასულ წელს სააკაშვილმა ბათუმის იუსტიციის სახლი აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონსაც დაათხოვინა. ნაცემოში ამტკიცებს, რომ კლინტონი ნანახით გადართავდა. ალბათ ამის ნიადაგზე აღმოუჩინეს თავში თრომბი.

არადა ირკვევა, რომ მაღალი და მისი ნაცემოში სულ ტყუილად ტრიაბახობენ იუსტიციის სახლებით. ეს იდეა სულ სხვა ადამიანს ეკუთვნის. იუსტიციის სახლების შექმნის იდეით თავის დროზე მარინა კაჟაშვილი გამოვიდა. მარინას დიმიტრი სანაკოვეს მთავრობაში იუსტიციის მინისტრის პოსტი ეკავა.

ვინ არის მარინა კაჟაშვილი, როგორ აღმოჩნდა სანაკოვეს მთავრობაში, რანაირად დაიბადა იუსტიციის სახლების შექმნის იდეა, ახირობს თუ არა იდეის მოპარვისთვის ჩივილს, ამ თემებზე მარინა კაჟაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

შორენა მარსაგიშვილი

– ვიდრე იუსტიციის სახლების თემაზე ვადავიდოდეთ, თქვენს შესახებ მოგვიყვიეთ.

– დავიბადე 1967 წლის 10 ივნისს ქალაქ ცხინვალში. დავამთავრე პირველი ქართული საშუალო სკოლა და რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი. 1990 წლის იანვარში ქართულ-ოსური დამაბუღობის მსხვერპლი აღმოჩნდა ჩემი ოჯახი იმ ასობით ქართულ ოჯახთან ერთად, რომლებმაც დატოვეს ქალაქი ცხინვალი. მას შემდეგ ჩემი ოცნება იყო ჩემს მშობლიურ ქალაქში დაბრუნება, ჩემი უბნის ნახვა, სადაც დავიბადე, ავიდგი ფეხი და წარმოვთქვი პირველი სიტყვა. განსაკუთრებით კი დიდი სურვილი მქონდა ცხინვალის ძველი ქართული სასახლის ნახვის, სადაც განისვენებდა მამა და ჩემი 20 წლის გარდაცვლილი ძმა, რომელიც პირველივე დარტყმების დროს ტანჯვასწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა ხუთ ქართველ ჯარისკაცთან ერთად, რომელნიც ერთ სახანაგის კმნიდნენ. ჩვენი ოჯახი ცხინვალისგან გორში გადმოვსახლდით. ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დავერჩი ისტორიისა და სამართალმცოდნეობის კათედრას. პარალელურად დავამთავრე სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. ასევე, დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურა. ვარ რამდენიმე სამეცნიერო შრომისა და ნიშნის ავტორი. უნივერსიტეტში 15-წლიანი მუშაობის შემდეგ ამერიკულურად ოსური საინფორმაციო გადაცემები მიმყავდა შიდა ქართლის ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში. სათავეში ჩავუდექი ოსური ფაკულტეტის ჩამოყალიბებას ცხინვალის უნივერსიტეტში ქ. გორში, რაიოა ქართველთა და ოსთა კონფლიქტის შემსუბუქებისათვის ხელი შეემწყობ.

– დიმიტრი სანაკოვეს მთავრობაში როგორ მოხვედრით?

– ჩემი ასეთი საზოგადოებრივი აქტიურობით პირველი ქალი ვიყავი დიდსა და პატარა ლიხაის ხეობაში პოლიტიკოსის სტატუსით, რომელმაც მონაწილეობა მივიღე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის პრეზიდენტის არჩევნებში 2006 წლის 12 ნოემბერს, კონფლიქტის ზონაში – სოფელ ერედვში, სადაც ვირიცხებოდი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად. მე საკმაოდ რთული გზა გავიარე იუსტიციის მინისტრობამდე. ერთი სიტყვით, საბრუნო ოსეთის ადმინისტრაცია ჩამოყალიბდა. პრეზიდენტად არჩეულ იქნა დიმიტრი სანაკოვე, პრემიერ-მინისტრად კი – ურუშაძე ქარქუსელი. რასაკვირველია, ყველაზე მთავრი ადგილი დავიკავა და მე, მარინა კაჟაშვილი, დავინიშნე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის იუსტიციის მინისტრად. პრაქტიკულად, ჩვენ ჩავიბარეთ 16-წლიანი გამუდმებული სროლებისაგან დანგრეული სოფლები, სადაც ყველა სფერო დახმარებას საჭიროებდა. სწორედ იმ პერიოდში დამებადა იუსტიციის სახლების შექმნის იდეა.

– უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვი.

– ჩვენ გვიხდებოდა წვერიანობის გაუფალ ტყეებში სიარული შემოვლითი გზით, რომელიც ნელ-ნელა, შემდგომ პერიოდულად კეთდებოდა; გზა, სადაც ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლე შეწყდა; გზა, სადაც ადამიანებს წვადნენ ხეზე მიბმულს; გზა, სადაც ყოველ წუთს სწრაფი ტყვიას ელოდა ადამიანი, გზა სადაც არ იყო არავინ დაზღვეული მენყრისა და ხრამში გადაჩხვებისაგან. ბევრს არ შეეძლო კიბლემამდე შეიარაღებული რუსების პოსტის გავლა წვერიანობის მაღალ მთაზე. ეს მხოლოდ გმირებს შეეძლო. ამიტომაც იყო, რომ იქ ერთხელ გადმოსულე მაშინდელი ქართული ხელისუფლების ჩინოვნიკი მეორედ აღარ მიწახავს. სწორედ ამ ვითარებამ მაფიქრებინა იუსტიციის სახლის მშენებლობის იდეა. ძალიან ჭირდა ნოტარიუსის გადაყვანა ხეობაში და ხალხი კი ამბობდა – ჩვენი, ამდენი ხალხის გადასვლას წვერიანობის გზაზე, რომელსაც მე „სიკვდილის გზა“ ვუწოდებ, ვრობს ნოტარიუსი აქ გადმოიყვანოთო. კიდევ ბევრი სხვა თანამშრომელი თავს იკავებდა იმ გზაზე სიარულისაგან. ხშირად მე უბნებოდნენ – თუ თქვენს ოთახში გვექნება სამუშაო, წამოვალთ, თუ თქვენი მანქანი გავემგზავ-



იქ უკვე ჩვენი გზები გაიყო და სუფრაზე არ წამოვიდა.

– მინ რა მოხდა?

– დღემდე ვფიქრობდი მიზეზს და დავასკვენი, რომ იმ შენობაშივე დაებადა ჩემი იდეის – „იუსტიციის სახლის“ – პლაგიატის აზრი!!! მას მერე თვალყურს ვადევნებ – როგორი აღიარება პპოვა ჩემმა იდეამ, როგორ მოიწონა აშშ-მ და პრემიაც მიიღო. ეს საქართველოს პრეზიდენტს აეროპორტშივე ახარეს, როგორც მის განცხადება ერთ-ერთ ინტერვიუში. თუმცა იდეის ავტორს არ აცხადებდნენ. ამის შესახებ კი მე სულ რამდენიმე დღის წინ საინფორმაციო პორტალზე ამოვიკითხე და მკაცრი კომენტარები დავუტოვე. არადა, ხან ვისზე მქონდა ეჭვი, ხან – ვისზე, მაგრამ ამ კაცზე – გია ქავთარაძეზე – სულ ვერ წარმოვიდგენდი.

– სააკაშვილს ვერ მიაწვდინეთ ხმა, რომ ეს თქვენი იდეა იყო?

– არჩევნებამდე ერთი თვით ადრე პრეზიდენტ სააკაშვილს ახლობლის ერთი ვამცნე, რომ ეს ჩემი იდეა იყო და კიდევ ის, რომ პრეზიდენტის პაპის უცხოვრია თურმე გორში იმ უბანში, სადაც მე 20 წელი ვცხოვრებ – „წყაროს უბანში“, ანუ ერთ ეზოში. სულ შემთხვევით წინასაარჩევნო კვლევებს ვატარებდი და წავაწყდი ადამიანს, რომელმაც მთელი ისტორია მამაბო პრეზიდენტის ბაბუს შესახებ. ვიფიქრე, მონოგრაფიასაც ვაკეთებდი-მეთქი, მაგრამ ისიც ვიფიქრე, რომ მერე იმ მონოგრაფიის ავტორადაც სხვას დასახელებდნენ და შევეშვი ამ საქმეს. თუმცა პრეზიდენტმა – გახსოვთ, წინასაარჩევნოდ, ახალციხეში რაბათის ციხის გახსნისას და გორშიც სტუმრობისას განაცხადა, რომ პაპამისი თურმე გორე-ლი ყოფილა. თუ ეს ამბავი მივიდა მის ყურამდე, იმან ვერ მიაღწია, რომ მე ვარ „იუსტიციის სახლის“ იდეის ავტორი?

– ახლა რას აპირებთ?

– მე არაფერს ვიზიხოვ, თუმცა ადვოკატთა ჯგუფს უკვე ველაპარაკე, მაგრამ მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს, რომ მე ვარ ამ იდეის ავტორი და არა გია ქავთარაძე!!! თუ ეყოფა მის ვაჟაკობა და პირისპირ ხალხის თანდასწრებით მეტყვის, რომ ისაა ამ იდეის ავტორი, აფერუს მის ვაჟაკობას! თითოეული იუსტიციის სახლი, რომელიც საქართველოში აშენდა და ბევრი უცხოელიც მოგებაძავს მის მშენებლობაში, შვილივით მიყვარს. მე ვცდებდი, მსგავსი სახის სტატუები დავეჭდო უტყვი ქვეყნის პრესაშიც.

– ქართულ მედიაში გამოქვეყნებული მასალები საკმარისი არ არის?

– სამწუხაროდ, აქ პრესა ნაწილობრივ ძველი ხელისუფლების ცენზურის ქვეშაა ჯერ კიდევ. ასე აღიარდა ჩემი საავტორო უფლება. თქვენი გაზუთის საშუალებით მინდა მივმართო სააკაშვილსა და მის თანამოაზრეებს. ძველი ხელისუფლება ახლისაგან დიდად განსხვავდება. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შრომა დაუფასა თანამებრძოლებს და ყველა გვერდში დაიყვანა. თქვენ კი კონფლიქტის ზონაში მომუშავე ქალის იდეის მითვისება შეძელით, ქალის, რომელიც ხშირად დღევანდელი ორჯერ დადიოდა იმ გზაზე, სადაც თქვენ, ძველი ჩინოვნიკები, ერთის მეტად არ ყოფილხართ და შიშს გგავრიდათ იქით მიხვდეთ. დავდიოდით მარტო, მძღოლის გარეშე, ვაოცებდი თვით იქ მდგომ რუსისა და ოსის შერეულ სამხედრო ჯარების პოსტს ჩემი გამბედაობით, იმისათვის, რომ ძველი მთავრობისათვის წარმატებები მოემტანა. მათ კი ამის საპასუხოდ 5-წლიანი უშუშვერობით დამსაჯეს და, ამასთან, იდეაც მომპარეს თავისუფლებისა და იდეის ქურდებმა!!!



„პატიმარებს ისევ ანაბეზაბე!“

რა პრეტენზიები აქვს ანტიკორუფციული პალატის თავმჯდომარეს სოზარ სუბართან

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

„ახალი თაობისათვის“ ცნობილი გახდა, რომ ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წინასაახალწლოდ პატიმართა მიმართ დაფიქსირდა არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. ამ საკითხზე ვესაუბრეთ საქართველოს ანტიკორუფციული პალატის თავმჯდომარეს პაატა შაჰაძემ.

— ბატონო პაატა, თქვენ ერთ-ერთი მონიტორთაგანი ხართ, ვისაც შეეძლო ქართულ ციხეებზე დაკვირვება. წინასაახალწლოდ ბათუმის №3 სასჯელაღსრულებაში დაფიქსირდა არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. ამ საკითხზე ვესაუბრეთ საქართველოს ანტიკორუფციული პალატის თავმჯდომარეს პაატა შაჰაძემ.



ასევე, რომლებიც მისი მოსვლისთანავე მოიყვანა დაწესებულებაში. ნიშნდობლივია ის ფაქტიც, რომ მან სრულიად უმოტივაციოდ და დაუსაბუთებლად გარეკა დაწესებულებიდან მთელი რიგი კადრებისა, დანაშაული აქვთ ჩადენილი. მაშინ ვუთხარი, ამ შემთხვევაში მასალები პროკურატურას მაინც გადაეცემათ, თუმცა ესეც არ გააკეთა. უამრავი ადამიანი მირეკავს, ამხელენ ყურსმბაძეს ათასგვარ რამეში. აუცილებლად მივმართავ საქართველოს პროკურატურას და აუცილებლად მოვითხოვ პატიმრებისადმი არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე გამომძიების დაწყებასა და ყურსმბაძეზე საქარაიძის საკადრისად დასჯას! ეს გარდაუვალი იქნება. მიმაჩნია, რომ ისინი კრიმინალები არიან და მათი ადგილი სასჯელაღსრულების სისტემაში ნამდვილად არ არის, როგორც ადმინისტრაციის! იმ ორი პატიმრის კარცერებში განთავსებაზე განკარგულება, როგორც ჩემთვის იმ დამით გახდა ცნობილი, ვაჟა ზაქარიაძეს გამოუცია. ამ განკარგულებათა ასლები, როგორც პატიმრებმა განმარტეს, მათთვის არავის ჩაუბარებია, რათა უფლებების თაობაზე მაინც სცოდნოდნენ რამე... სიცოცხლის დასაცავად რომ დამიჯდეს, ყურსმბაძე და ზაქარიაძე აუცილებლად და ძალიან მალე დატოვებენ პოსტებს. დაუფარავად და გულწრფელად გეტყვი, „ბათუმის №3 დაწესებულებაში ხელმძღვანელების ქმედებები ამართლებენ ერთ კარგ ქართულ გამონათქვამს — „უხადლო ქვეყანაში კატებს აყვებდნენ“! არ არის დიდი ხანი, რაც დირექტორად დანიშნეს თემურ ყურსმბაძე, დამიანი რომელსაც სიტყვა პენიტენციული ალბათ ნიგნოცი კი არ ექნება წაკითხული. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ის ეძებს ახლა კადრებს, რომლებსაც შეუძლიათ პატიმრების ცემა და მათდამი სასტიკი მოპყრობა. თუკი ჩვენ დიდხანს დავუხუჭავთ თვალს მის ობიექტს, მერწმუნებ, ეს ადამიანი მართლაც საშინელებების ჩაიდენს იქ დღევ. მოუწესრიგებელი სამედიცინო ნაწილი, უყურადღებო მდებარეობა, მედიკამენტების არასაკმარისი ოდენობა, დაობებული სტომატოლოგიური კაბინეტი, სადაც მინიმუმ პატიმარი ც პეპატიტის კანდიდატია, წარმოადგინეთ ახლა რა დღეში არიან იქ პატიმრები?

ხალხი ხართ, ადამიანი მაინცდამაინც სიკვდილის პირას უნდა მივიდეს, სამედიცინო დახმარება რომ გაუწიოთ?! დავინტერესდები ამ ფაქტით, გამოვიკითხე სიტუაცია დეტალურად და როგორც შევიტყვე იმ პატიმრების ნაამბობით, თურმე ერთ-ერთი პატიმარი საკანში ძალიან ცუდად გამოხდა, კრუნჩხვა დამართნია. თანასაკნელებს საკნის კარზე უბრაუნებიათ ე.წ. კლუნიკებისათვის“ თუმცა კარის გაღებაზე არავის უფიქრია. შედეგად კი პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო კრიტიკული ხდებოდა. როგორც იქნა, მთელი ამ აყალმაყალის შემდეგ კარი გაუღეს და ანერვილებული პატიმრები სიმწრით მოაქვებდნენ ავადმყოფს სამედიცინო ნაწილისაკენ. ძლივს გადაარჩინეს, პირადად ვადექი თავზე ავადმყოფს, სული ძლივს მოითქვა ადამიანმა. მოგახსენებთ, ასეთი უყურადღებობის მიმართ, არა თუ პატიმარი, არამედ ნებისმიერი ჩვენგანი გამოხატავდა მწვავე პროტესტს, იყვირებდნენ და შეიგინებდნენ კიდევ პატიმრები, რადგან ეს ადამიანის მხრიდან სავსებით ადეკვატური რეაქციაა უყურადღებობისა და არაადამიანური მოპყრობის მიმართ! არავის იფიქროს, რომ ერთ-ერთი ნაწილი მაინც ვამართლებდნენ პატიმრების მხრიდან დაწესებულების მუშაკთა მიმართ უდიდეს მოპყრობასა და უკულტურობას, თუნდაც შეგინებას ან სხვაგვარ დამოკიდებულებას, თუმცა მერწმუნეთ, იქ, მე-3 დაწესებულებაში, მუშაკთა 60-70% ადამიანთა ნყოფიდან გამოყვანის ხელოვანია. ადამიანი როცა გავიწეხს, მაპატიეთ, მაგრამ მინიმუმ მიზეზი მაინც უნდა იკითხო, რა ხდება და რისთვის გავიწეხს. მერე კი შეგიძლია მიიღო შესაბამისი ზომები და ისიც მხოლოდ კანონშესაბამისი. კონკრეტულ სიტუაციაში, ის პატიმრები, 20-22 წლისანები იყვნენ, აბსოლუტურად მართლები იყვნენ და არანაირ სასჯელს არ იმსახურებდნენ, მით უფრო არ იმსახურებდნენ არაადამიანურ მოპყრობას. მათ გამოხატეს სრულიად ადეკვატური რეაქცია თანასაკნელების ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი დაწესებულების უყურადღებობაზე და ეს გახლავთ სრულიად კანონზომიერი. იმავე დღევს ვთხოვე დირექტორის პირველ მოადგილეს, წინა ხელისუფლების კადრს, კუდის ყოფილ თანამშრომელს, ვაჟა ზაქარიაძეს: ვაჟა, გთხოვ, ნუ გააკეთებ ამას, შენ ხომ იცი

კარცერებში რა მდგომარეობა გვაქვს, სარკმლები სრულიად ღია, არც გათბობა და არც არაფერი, სხვა შეფასებები მიეცემა ამ ყველაფერს და როგორმე იქნება სხვა ზომები მიიღო სახელის სახით, თუ მაინცდამაინც დასჯა გინდა ამათი, კარცერებში არაფრით განათავსო-მეთქი. სიტყვა მომცა, რომ არ გააკეთებდა ამას, თუმცა 30 დეკემბერს სხვა შედეგი დაიხვეწა. ამ ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრებაში ადამიანების უფლებების შელახვის მეტი არაფერი უკეთებიათ, პატიმრებისადმი არაადამიანური მოპყრობა ადეკვატური პატიმრები. ახალგაზრდა, 20-22 წლის ყმანვილებს, საცოლე ბიჭებს 2 დღელამის განმავლობაში საყინულით რომ ამყოფებ, განა ეს ადამიანური მოპყრობაა? ადამიანური მოპყრობაა? კარცერი იმას კი არ ნიშნავს რომ პატიმარი მასში გაყინო და დააავადო! იქნებ ვერ აიტანოს ადამიანმა ყინვა და გარდაიცვალოს, მერე სად მიდიოდნენ? ამ ბიჭებმა ხომ ზვალ და ზეგ ოჯახები უნდა შექმნან და უნდა დაეხმარებინათ? გენოციდი მეთქი არაფერია! პატიმარი რომ ვარ, იმას კი არ ნიშნავს, რომ დამამცირო და დამტან-გან? პატიმრები მოიხიდან სასჯელს და ყველა ჩვენგანი უნდა შეეცადოს, რომ მოხდეს მათი სრული ინტეგრირება საზოგადოებაში. ღამის 4 საათზე დავეტოვე დაწესებულება და მათი ცხელი ფეხი ვერ გავადგი იმ დრომდე, ვიდრე არ მივეცი ხელახალი რეკომენდაცია ხელმძღვანელებს, გაეთვალისწინებინათ კარცერებში არსებული არაადამიანური პირობები და ვადამდე ადრე შეეწყვიტათ პატიმრების იქ ყოფნა, თუმცა არავინ მომისმინა. მერე ქველფონით დამაკავშირეს თბილისში მყოფ დირექტორს, თემურ ყურსმბაძეს, და იცით რა მიპასუხა? „ბატონო პაატა, თქვენ გეტყვით, ასეთ რამეს პირველად ხედავთ და მე გაირდებით, რომ ასეთი რამე უკვე ხშირად იქნება, რადგან ადრე ბარდაგი იყო აქ და ახლა კი უნდა გამოვასწორო“. გეტყვით, რომ თემურ ყურსმბაძე გახლავთ „ბაჩო ახალია №2“. ის ყველაზე საშინელი ხელმძღვანელია სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სისტემაში და მისი ლაგამაოუდებელი ჯირობი რაც შეიძლება სწარავსდეს უნდა ადამიანთა ბათუმის №3 დაწესებულებაში. მას უნდა მიჰყვინდეს მისი დამტანები, „კუდიანი“ ვაჟა ზაქარიაძე და ის კადრები

ადრე უფლებამოსილება. მე მაქვს გიორგი ტულუშის მიერ გამოცემული ბრძანება, სადაც მითითებულია, რომ მონიტორინგის ვადა 2013 წლის 31 იანვარს იწურება, ამით ეს ახლა საიდნალაც „გამოთხარეს“ რომ თურმე სხვა ბრძანებაც ყოფილა და იქ 2013 წლის 01 იანვარი ყოფილად ვადად მოცემული. საიდან მოიტანეს, საინტერესოა. ბრძანება, სადაც 31 იანვრამდე არის განსაზღვრული ვადა, თვით დაწესებულების ხელმძღვანელობამ გადამოცია, გამოდის, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროში საქმის წარმოების სისტემა ნულის ტოლფასია. ეს რომ მართლაც ასეა, იმითაც შესანიშნავად დგინდება რომ მათ კორესპონდენტებზე პასუხის გაცემის ნებსებიც კი არ იცინან. რამდენი წერილი გავგზავნე სამინისტროში და არცერთ მათგანზე პასუხი არც დადებითი და არც უარყოფითი არ მიმიღია. ასეთი სამინისტრო ვისაც სჭირდება, მას სჭირდება! როგორც ჩანს, მონიტორინგი საქართველოში მონიტორინგისათვის და ფორმალურად, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ! მე ახლა დასკვნაზე ვმუშაობ, რომელიც 300 გვერდს შეესაბამება და ყველას ეცნობება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

— ანოდებთ ინფორმაციას ბატონო სუბარს? ძალიან კარგად მახსოვს, რომ სოზარ ერთ-ერთი თავდადებული უფლებადამცველი იყო... ამასთანავე, შემოიღო გვიანდელი ფაქტები დაგისახელოთ: თავად ვესაუბრეთ ერთ-ერთ ავადმყოფ პატიმარს, რამაშ კონჯარიაზე და აღნიშნული ავადმყოფი გადაიყვანეს საავადმყოფოში...

— სოზარ სუბარს მე პირადად არ ვიცნობ, თუმცა ვაგიცანი სისტემა, რომელსაც ის სათავეში უდგას... ვფიქრობ ამით ყველაფერი ნათქვამია...

— თქვენი აზრით, რით შეიძლება, რომ პატიმრის უფლებები მაქსიმალურად იქნას დაცული?

— ასეთი კადრებისა და ასეთი პირობების გადამკვიდე პატიმრების უფლებების დაცვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ვის სად, რომელი დაწესებულების დირექტორად, მოადგილედ ნიშნავენ, კაცი ვერ გაიგებს, სად ნახულოვენ ასეთ კადრებს? მიმაჩნია, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული ყველა პირი, უპირატესი ყოვლისა, უფლებადამცველის პოზიციებიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს, რადგან ჩაკეტილ ადამიანს რომ სჭირდება უფლებების დაცვა და მას რომ სჭირდება მიხედვა, ისე ალბათ არავის ამქვეყნად, აბსოლუტურად უვიცი კადრები ინიშნება სასჯელაღსრულების სისტემაში! ვისაც უნდა ეწყინოს, დასამალი არაფერი მაქვს, გუნდურის კმევა არ მჩვევია არავისთვის და არც ვაპირებ. თუ ასე გაგრძელდა, ჩავთვალეთ რომ არაფრისთვის გვირგვინი ქართველ ხალხს! ბიძინა ივანიშვილის „კაცი“ ვარო, აცხადებს №3 დაწესებულების ე.წ. დირექტორი ყურსმბაძე, თუმცა მისი „მოღვაწეობით“ სხვა რამ ჩანს. პრემიერ მინისტრმა ეს რომ გაიგოს, რაც იქ ხდება, ხომ წარმოგიდგინათ, რაც მოხდება? ყველა ღონეს ვიხმარ, ჯერჯერობით ქვეყნის მასშტაბით, რათა ბათუმის №3 დაწესებულება განათავსულდეს ამ „ყაჩაღებისაგან“, თუ ვერაფერი გავხდებ, მერე საერთაშორისო მასშტაბებით მოქმედებასაც არ გამოვიცხავ... თვითნებობა და აღვირმეშვეულება, უმასხისმგებლობა და ადამიანების აბუჩად აგდება სახელმწიფო აპარატებში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს!

როლის მოგზავრება ინვალიდთა პრობლემა

მერი ნამორაძე

რა იმედებით ხედებიან ახალ წელს ადამიანები, რომლებიც ინვალიდობის მქონე პირთა განათლების, პროფესიული გადამზადების და სოციალური ინტეგრაციის საკითხებზე მუშაობენ? იმედები მართლაც სერიოზულია, მაშინ, როცა განხილავს განცდა, რომ არასამთავრობო სექტორს ახალი ხელისუფლება სერიოზულად უსმენს და აიძულებს, რომ მათ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს.

მაინც რა პრობლემები უნდა მოგვაროს ხელისუფლებამ საიმისოდ, რომ უნარშეზღუდულმა ადამიანებმა თანაბარი უფლების მქონე ადამიანებად იგრძნონ თავი? „ახალი თაობა“ ამასთან დაკავშირებით სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის მშობელთა კავშირის თავმჯდომარეს, მაია ასაკაშვილს ესაუბრა. მისი თქმით, სასურველი იქნება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება მოხდეს, რომელიც ხელს შეუწყობს თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში. პრიორიტეტული საკითხია სკოლის შემდგომი განათლება, ანუ პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება. რატომღაც დღეს კიდევ ქველმოქმედების და სობრალულის ობიექტად განიხილებიან უნარშეზღუდული ადამიანები და შრომის ბაზარზე აღიქმებიან რო-

გორც არაკონკურენტული სამუშაო ძალა.

— პირადად ჩვენს ორგანიზაციას მომზადებული აქვს სახელობო ინტელუიური ცენტრის პროექტი. ექვსი წელია ამაზე ვმუშაობთ და ფართის პრობლემა ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილია და სასურველი იქნება, ახალი ხელისუფლება თუ გაითვალისწინებს ამას. არსებობს კანონი სახელმწიფო უძრავი ქონების შესახებ, რომლის 36-ე მუხლი არეგულირებს სახელმწიფო ქონების კერძო და იურიდიულ პირებს გადაცემის წესებს და ფორმებს, მათ შორის, უზურფრუქტით გადაცემის საკითხებს. კარგი იქნება, ეს კანონი თუ ამოქმედდება. კანონი არის, მაგრამ აღსრულების მექანიზმი არ არის. მექანიზმი რომ არსებობდეს, გაუადვილებდათ არასამთავრობო ორგანიზაციებს და სახელმწიფოს თანამშრომლობა მიზნის მისაღწევად. თუ ჩვენ და ანალოგიურ სხვა ორგანიზაციებს გადმოეცემათ სარგებლო-

ბის უზურფრუქტის ფორმით სახელმწიფო ქონება, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მოვიძიოთ დონორები, ინვესტორები და ერთობლივი თანამშრომლობით ხელი შევუწყობთ ადამიანებისათვის თანაბარი პირობების შექმნას როგორც პროფესიული გადამზადების, ასევე დასაქმების თვალსაზრისით, რათა ისინი გახდნენ სრულყოფილი მოქალაქეები. იმედი გვაქვს, ახალი მთავრობა ძალისხმევას არ დაიშურებს ამ ადამიანებისათვის პირობების შესაქმნელად და ხელს შეგვიწყობს შეიქმნას ქვეყანაში სახელობო ინტელუიური ცენტრი. პროექტი განსახილველად არის ჯანდაცვის სამინისტროში, ქონება ეკუთვნის ეკონომიკის სამინისტროს. ასე რომ, პროექტზე ემართება გეგმადგენი ჯანდაცვის სამინისტროსგან.

გაგრძელება მე-7 გვერდზე



ფაჩულია ახალ წელს ორმაგი დუბლით შეხვდა

2012 წლის ბოლო დღეს გამართული მატჩები ნბა-ში მოთამაშე კალათბურთელებისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. მარცხი განიცადა ბოლო დროს მოგებებს ნაწილობრივ ზაზა ფაჩულიას „ატლანტაში“, ასევე ნააგო თორნიკე შენგელიას „ბრუკლინში“.

თორნიკე შენგელიამ თითქმის 9 წუთი ითამაშა „სან ანტონიოს“ წინააღმდეგ, რომელმაც „ბრუკლინი“ 104:73 გაანადგურა. მესამე მეოთხედი ბრუკლინელებმა 5:30 წააგეს და მატჩის ბედიც სწორედ ამის შემდეგ გაირკვა. ბოლო მეოთხედს აზრი დაკარგული ჰქონდა და მწვრთნელმა ყველა სათადარიგოს მისცა თავის გამოჩენის საშუალება.

9 წუთის განმავლობაში შენგელიამ მხოლოდ ერთხელ შეუტია სანანტონიოელთა ფარს და ისიც არაზუსტად. ქართველმა ფორვარდმა აქტივში 3 მოხსნა და 1 პასი ჩაინერა, ბურთი კი 2-ჯერ დაკარგა. ახალბედებიდან ქულა მხოლოდ ტაიშონ ტილორმა მიითვალა, რომელმაც 5-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, ხოლო მირზა ტელეტკოვიჩმა მოედანი თითო მოხსნა-პასით დატოვა.

რაც შეეხება ატლანტელელებს, აღმოსავლეთ კონფერენციის ერთ-ერთი ლიდერი ჰიუსტონში უშანსოდ დამარცხდა. ფაჩულიას გუნდმა „როკეტსთან“ შეხვედრა 104:123 დათმო. მოედანს დაუბრუნდა და სასტარტო ხუთუთულში დაიკავა ადგილი ჯოშ სმიტმა, ქართველმა ცენტრმა კი შესაბამისად სათადარიგოებში გადაინაცვლა.

ფაჩულიამ 16 წუთი ითამაშა და მოედანი 2 ქულით, 2 მოხსნითა და 2 პასით დატოვა. ზაზამ 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, ბურთი კი ერთხელ დაკარგა. ატლანტელებში საუკეთესო ალ ჰორფორდი გახდა 18 ქულითა და 13 მოხსნით, ბომბარდირობა კი 21 ქულის მიმთვლელმა ლუი უილიამსმა ითავა.

2013 წლის პირველსავე დღეს კი, ფაჩულიამ ორმაგი დუბლი შეასრულა. „ატლანტა“ პოუქსმა“ ნიუ ორლეანში მასპინძელთა გუნდი 9 ქულის სხვაობით – 95:86 დაამარცხა და ქართველი კალათბურთელი ერთ-ერთი გამორჩეული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზაზას ბეგრი არ უთამაშია, მან ორმაგი დუბლის შესრულება მოახერხა.

ფაჩულია სათადარიგო იყო და მილიანობაში 20 წუთი ითამაშა. ქართველმა კალათბურთელმა ნიუორლეანელების ფარს თამაშიდან 8-ჯერ შეუტია და 5 ჩააგდო, რასაც 2-დან 2 საჯარიმო მოაყოლა და მისმა მონაგარმა 12 ქულა შეადგინა. ფაჩულია კარგად გაისარჯა ფარქვეშაც და 10 მოხსნა მოაგროვა.

ატლანტელთაგან ორმაგი დუბლი შეასრულა ჯოშ სმიტმაც, რომელმაც 23 ქულითა და 13 მოხსნით მატჩის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. ალ ჰორფორდის ანგარიშზე 20 ქულა და 3 მოხსნა-პასი დაგროვდა.

მოკაბაჯაბა დაჯილდოვება საზაფხულოდ გადადის

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძემ გასული წელი შეაჯამა და მომავალი წლის პრიორიტეტებზე ისაუბრა. მისი თქმით, 2013 წელს რაგბის კავშირის მთავარი საზრუნავი კლუბებისთვის სპონსორების მოძიება, ბავშვთა რაგბის განვითარება და ნაკრების წარმატებულ ასპარეზობა იქნება.

გია ნიჟარაძე: – 2012 წელი იყო დიდი გამარჯვების, დასანანი მარცხისა და ძირეული გარდაქმნის ხანა. საძირკველი ჩაყვარა მრავალ წამოწყებას, რაც სამომავლოდ ძალზედ წაადგება ქართულ რაგბს. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული ჩემპიონატი გადავიდა შემოდგომა-გაზაფხულის გრაფიკაზე, სეზონის შემაჯამებელი დაჯილდოვება საგაისოდ გადაიდო. ქართული რაგბისთვის წლებადილი წლის ნომერბრის ტესტმატჩები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, თბილისში ისეთი ნაკრებები ჩამოვიდნენ, რაც ქართული რაგბის აღიარებას ნიშნავს საერთაშორისო ასპარეზზე. ორი ძალიან ძლიერი გუნდი იყო ჩამოსული. ჩვენ არანაირი გამოცდილება არ დარჩა ნაკრებებთან თამაშის არ გვექონია, ფიკს და იაპონია სულ სხვა დონის გუნდებია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძლიერი ნაკრებები არიან, ორივე მათგანთან მოგება შეგვეძლო, სამწუხაროდ, წაგავით. თუმცა ასეთ ნაკრებებთან დაპირისპირება უდავოდ პოზიტიურია ფაქტია. უნდა გავუყოთ გემო მსგავს გუნდებთან თამაშს, უნდა მივიღოთ გამოცდილება. მოედანზე თუ არ შეგვდა ასეთი მონიშნაღმდეგე, გამოცდილებას ვერ მიიღებ, მარტო თეორიულად განხილვა არ არის საკმარისი. ამიტომ დადებითად ვაფასებ ამ გუნდებთან თამაშს. რაც შეეხება 2013 წელს, გეგმები ძალიან დიდი გვაქვს. ჩვენი პრიორიტეტი კლუბებისთვის სპონსორების მოძიება იქნება, რადგან კატასტროფული მდგომარეობა ამ მხრივ. მათი ბიუჯეტი წლის განმავლობაში 200 ათასი ლარია, უკეთეს შემთხვევაში. თუ ერთად არ მოვიფიქრეთ ყველაფერს გამოსავალი და სიტუაციიდან გამოსვლის გზები, ამას მოჰყვება მორაგბეების გადინება არასარგებო ქვეყნებში, რაც დააგდებს დონეს. ასევე მნიშვნელოვანი იქნება მუშაობა ბავშვთა რაგბის განვითარებაზე, აკადემიის გაძლიერებაზე, ახალი პროექტების განხორციელებაზე. სანაკრებო დონეზე მთავარი ამოცანა ერთა თასზე პირველი ეტაპის მოგებაა. ივნისში ოთხთა ტურნირი და ტესტმატჩები გვექნება, სადაც საკარაუდო მეტოქეები პორტუგალია და ირლანდიის, არგენტინის, სამხრეთ აფრიკის ან იტალიის ა ნაკრებები იქნებიან, უფრო ზუსტად გუნდების ვინაობა იანვარში, ირბ-ს შეკრებაზე გადაწყდება. იმედია, ღირსეულად ვიასპარეზებთ. ვისარგებლებ შეთხვევით და დამდეგ ახალ წელს და შობას მიუვლოცავ მთელ საქართველოს, აღმშენებლობას, განვითარებასა და წინსვლას ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას და ქართულ რაგბს.

მარიო გიოჯა: მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობაზე ოცნების უფლება მაქვს



– საყურეს ვაკეთებთ, მშობლებისგან ნებართვა აიღეთ? – არ მასხოვს, როდის ვუთხარი. საყურეს 16 წლიდან ვატარებ და მშობლებისგან წინააღმდეგობა არ მქონია.

– რა ნიშნავს დაუნერო „დორტმუნდს“ ამ სეზონის პირველი წლის შემდეგ? – ბუნდესლიგაში ჩვეულებრივ გამოვიყურებო, მაგრამ არც ცუდად ვთამაშობ. ამიტომ, დამაკმაყოფილებლად შევაფასებდი. ჩემპიონთა ლიგაში კი ნამდვილი ფურორი მოვახდინე – „რეალის“, „სიტის“ და „აიაქსის“ კომპანიაში პირველი ადგილი დაკავება მართლაც იდეალური მიღწევაა. ასეთ წარმატებას არ ველოდი.

– მარშან ამ დროს კრიტიკის რონდში იქნება, მარიო გიოჯეს შესახებ არაფერი მსმენიაო. – ამაში გასაკვირი არაფერია. დარწმუნებული ვარ, რომ პორტუგალიელმა ახლა უკვე იცის ჩემი არსებობის შესახებ. „რეალთან“ მატჩებში, საფინალო სასტენის შემდეგ ჩემთან რამდენიმე მადრიდელი მოვიდა, მეუბნებოდა, კარგად ითამაშე.

– „რეალის“ მწვრთნელი ჟოზე მორინიო იმასაც კი ფიქრობს, რომ „დორტმუნდს“ წელს ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია. – ჩემპიონთა ლიგის მოგება მერვედფინალში გასულ ყველა გუნდს შეუძლია.

– ანუ, ჟოჯეს თანხმებით? – დიახ. თუმცა, ჩემი აზრით, ფავორიტები „პარსელონა“, „მანჩესტერი“, „რეალი“ და „ბაიერნი“ არიან.

– გერმანიის ჩემპიონობაზე ხელი ჩაიქნით? – ჯერ მხოლოდ ნახევარი სეზონი გავიდა და ჩემპიონობისთვის ბრძოლა გრძელდება, მაგრამ ჩვენ არა ჯილდოზე, არამედ მომავალზე ვფიქრობთ. გვინდა, რომ ბუნდესლიგაში მაქსიმალურად წინ ვიყოთ, გვინდა, რომ გერმანიის თანხმობაში გავიდე. ჩემპიონთა ლიგის მრვედფინალში გასულ უკვე ძალიან კარგი შედეგია და იმედია, მოთხედფინალშიც გავაღწევთ. ერთი სიტყვით, ნაგება არ მიყვარს.

– ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ თქვენი წყობიდან გამოყვანა შეუძლებელია. – ასე არ არის, ხანდახან კიდევ ვბრახდები ხოლმე. მაგალითად, ტრავმის დროს სულ ცუდ ხასიათზე ვიყავი. ნერვები მეშლიდა, როცა ექიმები ვერ მუშაობდნენ, როდის შევძლებდი მოედანზე გასვლას. ფეხბურთის თამაში ძალიან მენატრებოდა.

– ეს თქვენი კარიერის ყველაზე რთული ფაზა იყო? – დიახ! მართალია, ევროპის ჩემპიონატზე თამაში მაინც შევძელი, მაგრამ კონტინენტის პირველობას ცუდ ფორმაში მყოფი შევხვდი.

– ცოტა ხნის წინ მრჩველ ფოლკერ შტრუთთან ერთად თქვენი კარიერის გეგმა შეადგინეთ. საინტერესოა, რა ნებისა ამ გეგმაში. – ტრავმები ნამდვილად არ წერიან.

– მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ნოდებაზე ოცნებობთ? – რა თქმა უნდა! ამაზე ოცნების უფლება ნამდვილად მაქვს.

– კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე არ გიფიქრობთ? – უცხოეთზე მხოლოდ შევბუღებების წინ ვფიქრობ ხოლმე.

„ბარელონა“, „მანჩესტერი“, „არსენალი“ – ესენ ის გუნდები არიან, რომელთაც მარიო გიოჯეს გადამირება დღესაც სურთ. გასაკვირიც არაფერია – 20 წლის შემტევს უკვე ლეო მესისაც ადარებენ.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ პლეიმეიკერი ზუსტად ასეთი ტიპაჟია – რბილი, არ თამაშობს გერმანულ სტილში, არ არის ხისტი და აგრესიული, უფრო ტექნიკური შემტენელი და შემსრულებელია.

– ახალ წელს ნითლად შედეგები კედლის წინ ზიხართ. მოგონებთ მიუხეანის „ბაიერნის“ ფერი? – „შალკეს“ „ლურჯზე“ მეტად ნამდვილად მომწონს.

– ანუ, „ბაიერნი“ გადასვლა თქვენთვის წარმოუდგენელი არ არის? – სადმე გადასვლის მიზეზს ვერ ვხედავ. რაც „ბორუსიაში“ მოვედი, გუნდის გამოცვლაზე არასდროს მიფიქრია. აქ ყველაფერი მაქვს, რაც მინდა. საერთოდ, დორტმუნდში საკუთარი სახლის აშენებას ვაპირებ, რადგან აქ თავს მშვენივრად ვგრძობ.

– დედასთან ერთად ცხოვრება აღარ გინდათ? – გავიზარდე და ცხველები, რომ დროა, საკუთარი სახლი მქონდეს. საკუთარ სახლს მშობლიურთან ახლოს ავიშენებ და დედაჩემი ჩემზე არ იწერეთულებს.

– თვით ფრანკ ბეკენბაუერი ყოველთვის გაქებთ, ძალიან უნდა, რომ „ბაიერნის“ ფორმაში გიხილოთ. ახლახანს ისიც თქვა, გიოჯესა და როისის წვეილი მსოფლიოში საუკეთესოაო. თანხმებით? – ბეკენბაურის ასეთი შეფასება ჩემთვის დიდი პატივია.

– რამდენიმე მეტსახელი გაქვთ და საინტერესოა, რომელი მოგნონთ ყველაზე მეტად – „ყვითელი გიგანტი“, „გერმანული მესი“, „გიოტცინიო“ თუ „სუპერ-მარო“? – ჩემთვის სასიამოვნოა, თუმცა სასაცილოდაც ჟღერს. მსიამოვნებს სეთი ეპითეტების მოსმენა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არც ამ თემით ვარ დაინტერესებული. ანუ, კითხვაზე, რომელი მომწონს ყველაზე მეტად, ვერ გიპასუხებთ – ჩათვალეთ ყველა ერთნაირად.

– მუდმივი ქება იმის შიშს ხომ არ იწვევს, რომ მთელი გერმანიის მოლოდინს ვერ გაამართლებთ? – არა, ამის არ მეშინია. საკუთარ თამაშს მხოლოდ ჩემი პირადი მოლოდინის მიხედვით ვაფასებ. ჩემთვის ყოველთვის სულერი იყო, რას ელოდა ჩემგან გარემოცვა. ვფიქრობ, რომ ეს ჯანსაღი მიდგომაა.

– საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შეგპარვიათ? – არასდროს!

– როგორ ფიქრობთ, ეს კარგია, თუ ცუდი? – თავდაჯერებული ვარ ალბათ. ეს კარგია, მაგრამ ზედმეტი არც ეს ვარ. როცა ყოველ მესამე დღეს მოედანზე გასვლა გინდეს, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული უნდა იყო. ცხადია, ცუდად ჩატარებული ან ნაგებული თამაშის შემდეგ მეც ცუდ ხასიათზე ვარ ხოლმე, მაგრამ არასრულფასოვნების კომპლექსი ჩემთვის უცხოა. ამ დროს ყოველთვის იმაზე ვფიქრობ, რა მხრივ უნდა გამოვსწორდე.

– იქნებ, ეს არის მთავარი განსხვავება სუპერნიჭიერ და ნამდვილ სუპერფეხბურთელს შორის? – საკუთარ თავს არც სუპერნიჭი-

ერ მოთამაშე მივიჩნევ და მით უმეტეს, არც სუპერფეხბურთელად. თუმცა გეტმუნდში ყველა საშინაო მატჩს ხომ 80.000 ფანი ესწრება. კრიტიკა რომ ნაღდუსა და ჩაბი ალონსოს დარი ვარსკვლავების წინააღმდეგ თამაში კი ჩემთვის უფრო დიდი გამოწვევა იყო, ვიდრე ნერვიულობის მომგვრელი ფაქტორი. ასეთი მატჩების წინ მხოლოდ გახარებული ვარ. ბევრი ფიქრობს, რომ თუ ფეხბურთელს ცხვირი ზემოთ არ აქვს ანეული, სერიოზული წარმატებების მიღწევა გაუჭირდება. ჩემი აზრით, მთავარი თვითრწმენაა. ყოველი წარმატებული მოქმედების შემდეგ ფეხბურთელი უფრო თავდაჯერებული ხდება. როცა საქმე კარგად არ მიდის, ყოველთვის საუკეთესო მომენტებს ვისხვები. ფეხბურთელისთვის მთავარია, ყოველთვის ახსოვდეს, რატომ თამაშობს ფეხბურთში. მე კი, იმისთვის ვთამაშობ, რომ მოედანზე გატარებული თითოეული წუთით ვისიამოვნო.

– მას მერე, რაც დიდ ფეხბურთში გამოჩნდით, ჩაგარდნა ფაქტობრივად არ გქონიათ. ამას როგორ ახერხებთ? – ეს პირველ რიგში ჩემი ოჯახის და მეგობრების დამსახურებაა. ისინი ყოველთვის მხარში მიდგანან.

– თინჯერობის ასაკიდანვე ძალიან დიდი შემოსავალი გაქვთ, უკვე მილიონერიც ხართ და როგორც წესი, ასეთ დროს ადამიანებს თავში უფარდებათ. – ვხვდები, რომ პრივილეგირებული ცხოვრება მაქვს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა. ფულისაღმ მიდგომაც ჯანსაღი მაქვს – „ფერანის“ ან „ლამბორჯინის“ არ ვიდულობ...

– მოგწონთ, რომ ბავშვებისთვის მისაბამი მაგალითი ხართ? – რა თქმა უნდა! ეს ძალიან კარგი განცდაა.

– რატომ არ გაქვთ სვირინგი? – სვირინგები ჩემი სტიქია არ არის. თანაც, სვირინგი საშუალოა და სანამ რამეს ამოისვირინგებ, გადაწყვეტილების სისწორეში ასე პროცენტი დარწმუნებული უნდა იყო.

Table with 2 columns: Event name and Score. Includes 'ფეხბურთი ინგლისი პრემიერლიგა' and 'საქართველო ცხრილი'.

Table with 2 columns: Event name and Score. Includes 'შედეგები' and 'კალათბურთი'.

კვილი ჩაპაპარტი, ისტორია რჩება. დასაწყისი მე-12 გვერდზე. Article text about the magazine 'Kvili Chapaparti'.

